ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ლელა საჯაიას

ა ნ გ ა რ ი შ ი

01.01.2014 წ.-დან 16.02.2015-მდე განხორციელებული საქმიანობის შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია ახორციელებს ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საკრებულოს რეგლამენტით და კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებას.

საქმიანობას წარვმართავ 2015 წლის სამუშაო გეგმის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია საკრებულოს ბიუროს მიერ 2015 წლის 31 იანვარს.

ზემოაღნიშნულ პერიოდში კომისიამ მოიწვია სამი სხდომა, რომლებზეც განიხილა საკითხები:

- ა(ა)ი.პ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მ. ქუტიძის ანგარიში 2014 წელში ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესი.
- სოციალურად დაუცველ ბავშვთა ა(ა)ი.პ-ი „მომავლის სხივი“-ს ხელმძღვანელის ანგარიში.
- პროექტი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის კვლევა და მონაცემთა ბაზის შექმნის შესახებ.
- ა(ა)ი.პ სამუზეუმო-საბიბლიოთეკო გაერთიანების 2015 წლის სამუშაო გეგმა.

კომისიის წევრებმა მოისმინეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დირექტორის მ. ქუტიძის ვრცელი ანგარიში 2014 წელში გაწეული მუშაობის თაობაზე. ცენტრის დირექტორმა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების წინაშე დააყენა რამდენიმე, მოკლე დროში, აუცილებლად გადასაწყვეტი პრობლემა, კერძოდ:

1. ცენტრის საოფოსე ფართით უზრუნველყოფა;
2. სატრანსპორტო საშუალების შეძენა;

კომისიის წევრებმა ა(ა)ი.პ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მ. ქუტიძის ანგარიში ცენტრის მიერ 2014 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ მიიღეს ცნობად. ასევე გადაწყვიტეს, რომ ცენტრის დირექტორის მ. ქუტიძის მიერ ცენტრის შემდგომი ფუნქციონირებისათვის გადასაწყვეტი პრობლემების თაობაზე მოხსენდეს მუნიციპალიტეტის გამგებელს.

23 იანვრის კომისიის სხდომაზე მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ გ. ღურჯუმელიძემ განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენლების პროექტი, გაიმართა კამათი, აზრი გამოთქვეს კომისიის წევრებმა: ლ. ნაცვალაძემ, რ. სკამკოჩაიშვილმა, ბ. გობრონიძემ და ვ. ვადაჭკორიამ.

მიუხედავად შენიშვნებისა, რომელიც ეხებოდა პროექტში იმ მუხლების დაფინანსების საკითხს, რომელსაც სახელმწიფო ბიუჯეტი თავისთავად აფინანსებდა, მიმდინარე ინფლაციის ფონზე უცვლელად დავტოვეთ. ხსენებული წესი საკრებულოს სხდომამ უკვე დაამტკიცა.

კომისიისათვის არ იყო მარტივად გადასაწყვეტი დღის ცენტრის ,,მომავლის სხივის“ დაფინანსების საკითხი, მით უმეტეს იმ უარყოფითი დასკვნის ფონზე, რომელიც აუდიტმა დადო ხსენებულ ცენტრზე. მაგრამ კომისიამ ცენტრის ხელმძღვანელობასთან და საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიასთან ერთად იმსჯელა, რომ მსგავსი დარღვევები არ განმეორებულიყო. ვფიქრობთ, მსგავსი შემთხვევა აღარ განმეორდება მუნიციპალიტეტიდან გაღებული თანხის არამიზნობრივად ხარჯვასთან დაკავშირებით.

კომისიამ 9 თებერვლის სხდომაზე განიხილა პროექტი: ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის კვლევისა და მონაცემთა ბაზის შესახებ“.

პროექტის ხელმძღვანელმა ი. წულაძემ წარადგინა პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლების პოტენციური ტურისტული რესურსის საყოველთაო აღწერას, მოკვლევითი მასალების დამუშავებას და მონაცემთა ბაზის შექმნას, ადგილობრივი მოსახლეობის (თემის) ჩართულობის გაზრდას. პროექტს ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაცია „ტურიზმი და რეალობა“. პირველ ეტაპზე ტრენინგები ჩატარდება მუნიციპალიტეტში, რომელსაც ჩაატარებს თბილისიდან მოწვეული ტრენერები. სამომავლოდ იგეგმება ტურისტული ცენტრის გახსნა, რომელიც ორგანიზებას გაუწევს ტურისტული ღონისძიებების ჩატარებას და შესაბამისად ხელს შეუწყობს ახალგაზრდების დასაქმებას ამ მიმართულებით.

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე მოვისმინეთ ა(ა)იპ სამუზეუმო-საბიბლიოთეკო გაერთიანების ცენტრის ხელმძღვანელის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ და ცენტრის სამომავლო გეგმები.

რ. მემერნიშვილმა ვრცლად ისაუბრა მუნიციპალიტეტში არსებულ მუზეუმებზე, რომელთა უმეტესობაც საჭიროებს რესტავრაციას. კერძოდ, გურიანთის თემში მდებარე მუზეუმს ესჭიროება სახურავის შეკეთება.

გამოითქვა აზრი, რომ შ. რადიანის სახელობის მუზეუმში გათბობა იყოს უზრუნველყოფილი. ასევე აუცილებელ საკითხად დადგა მუზეუმების გააქტიურების საკითხი ახალგაზრდობის მოზიდვისა და სასწავლო-შემეცნებითი ღონისძიებების გაზრდის მიზნით. წინააღმდეგ შემთხვევაში მუზეუმები უფუნქციო დანამატებად გადაიქცევიან.

რ. მემარნიშვილმა მოახსენა დამსწრე საზოგადოებას, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 10 ბიბლიოთეკა, რომელიც ელექტრონულად არის კარგად აღჭურვილი. ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა გ. მარგველაშვილმა მუნიციპალიტეტს საჩუქრად გდასაცა 5000 ლარის ღირებულების ვაუჩერი, რომელიც გადანაწილდა 10 ბიბლიოთეკაზე და მოხდა სხვადასხვა სახის წიგნების შეძენა.

კომისიამ დადებითად შეაფასა ა(ა)ი.პ-ი „სამუზეუმო-საბიბილიოთეკო გაერთიანების“ დირექტორის ანგარიში და გადაწყვიტა, გაღრმავდეს თანამშრომლობა საჯარო სკოლებთან. ასევე იმ სოფლებში, სადაც არ ფუნქციონირებს ბიბლიოთეკები, განხორციელდეს უკვე კარგად აპრობირებული პროექტი ,,მოძრავი ბიბლიოთეკა ყველა სოფელში“.

მ/წლის 11 თებერვალს სოფელ ლიხაურის საბავშვო ბაღი მოვინახულე და ადგილზე სააღმზრდელო პროცესს გავეცანი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე გოჩა კილაძესა და გამგეობის განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროს მაიზერ ცელაძესთან ერთად.

საბავშვო ბაღი, რომელშიც 95 სკოლამდელით დაკომპლექტებულია 3 სააღმზრდელო ასაკობრივი ჯგუფი, აღჭურვილია ცენტრალური გათბობით. ბაღში ფუნქციონირებს ექთნის კაბინეტი, კეთილმოწყობილია სამყოფი ოთახები და მოწესრიგებულია სველი წერტილები. მოულოდნელმა ვიზიტმა დამარწმუნა, რომ ლიხაურის საბავშვო ბაღში სწორი მიმართულებით ხორციელდება სასწავლო პროცესი.

მსგავსი ღონისძიებები განხორციელდება თითქმის ყველა საბავშვო ბაღში, რაც საშუალებას მოგვცემს შევისწავლოთ მუნიციპალიტეტში სკოლამდელი დაწესებულებების მდგომარეობა. გვაქვს ინფორმაცია, რომ რამდენიმე საბავშვო ბაღში არსებობს არაჯანსაღი დამოკიდებულება ბაღის პერსონალს შორის. არ ვაპირებთ მხოლოდ ერთი ხელის მოსმით, ერთი მხარის მოსმენით საკითხის გადაწყვეტას. უპირველესად დაველოდებით აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან ქმედით ნაბიჯებს ხარვეზების აღმოსაფხვრელად და შესაბამისად ვიმოქმედებთ ხსენებულ პრობლემებზე. რადგან, წარმოუდგენელია დაპირისპირების, უპატივცემულობისა და დაძაბულობის ფონზე ნორმალურ რეჟიმში განხორციელდეს სკოლამდელ დაწესებულებაში მიმდინარე ისედაც რთული სააღმზრდელო პროცესი.

ვითვალისწინებთ, რა ქვეყანაში არსებულ მძიმე სოციალურ-მდგომარეობას, დავინტერესდით სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების არსებული წესით. ვიცით, რამდენად სერიოზულ პრობლემებს უქმნის საზოგადოებას ეს დაუხვეწავი და გაუმართავი მექანიზმი. აღმოჩნდა, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ახალი წესი ჯერ არ ამოქმედებულა. გავიარე კონსულტაცია სოციალური მომსახურების სააგენტოს გურიის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელთან მარიკა თავართქილაძესთან. ცნობილი გახდა, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ახალი წესი განხორციელდება აპრილის თვიდან. მანამდე კი მოხდება შესაბამისი სამსახურების გადამზადება და პროგრამის ეფექტური განხორციელებისათვის ყველა პირობის შექმნა. ჩვენ აქტიურად ვითანამშრომლებთ ხსენებულ სააგენტოსთან და ხელს შევუწყობთ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმირებას ახალი პროგრამების შესახებ, ასევე გავუწევთ ადვოკატირებას მოსახლეობას, რომ მათ მაქსიმალურად ისარგებლონ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული პროგრამებით.

მუნიციპალიტეტში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ახალგაზრდობის დასაქმების საკითხი. აღსანიშნავია, ისიც, რომ ზოგადად დეფიციტია კვალიფიციური პროფესიული კადრები. ჩვენი მენტალიტეტი კი რატომღაც არ გვაძლევს საშუალებას ყურადღება მივაქციოთ პროფესიული დაოსტატების საქმეს. ვფიქრობთ, მოსახლეობას აქტიურად უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია ქალაქში არსებული პროფესიული კოლეჯის ,,ჰორიზონტის“ შესახებ. პირადად დავინტერესდი, რა პროგრამებს სთავაზობს სახელმწიფო ხსენებული სასწავლებლით დაინტერესებულ პირებს. ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელს გაუტოლდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. 2011 წელს კოლეჯს ჩააუტარდა სრული რეაბილიტაცია. აღიჭურვა თანამედროვე ინვენტარითა და მანქანა-დანადგარებით. 2014 წელს კოლეჯმა მოიპოვა ავტორიზაცია (5 წლით). სწავლა მიმდინარეობს 17 საგანმანათლებლო პროგრამაზე. ამჟამად გამოცხადებულია ვაკანსიები შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებზე: მზარეული, სტილისტი, მკერავი, ელექტრიკოსი, ტექნიკოსი, ტრაქტორისტი, ბუღალტერი, გიდი,სადაც სწავლა უფასოა.

მიმაჩნია, რომ აუცილებელია მეტი კავშირი გვქონდეს მოსახლეობასთან. ვგეგმავ უახლოესი კომისიის სხდომა სწორედ გასვლითი იყოს და ზოგადად ამან მიიღოს სისტემატური ხასიათი. პირადად მე ყოველ თვეში სამი ოთხშაბათი მოქალაქეებთან შეხვედრის დღედ ავირჩიე. ვფიქრობ ეს დამეხმარება, შორიდან არ ვუყურო მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებს.